

სერვანტესის სახელობის

გიმნაზია აია- ჯესის

კლუბი „აია- ქიმიკოსები“

2018–2019წ.წ.

სკოლის დასახელება : სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს

სკოლის მისამართი და საფოსტო ინდექსი : თბილისი იპოლიტ-ივანოვის ქ#10  
საფოსტო ინდექსი 0153

კლუბის დასახელება : "აია- ქიმიკოსები"

ხელმძღვანელი : ნინო გარუჩავა

წევრები : 8 - 10კლასის მოსწავლეები

შეკრების ინტენსივობა: ყოველ მეორე სამშაბათს

მიზანი:

- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმიის) მიმართ
- ქიმიური ექსპერიმენტების ჩატარების უნარის გამომუშავება
- რეგიონალური და საერთაშორისო კონკურსებში და პროექტებში ჩართვა და მონაწილეობა
- სხვა კლუბებთან თანამშრომლობა

### სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია- ჯესის კლუბის დებულება

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია - ჯესის „ნორჩი ქიმიკოსები“, შემდგომში კლუბი, არის სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია - ჯესის დებულების შესაბამისად შექმნილი კლუბი.
2. კლუბი თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით“, ეროვნული სასწავლო გეგმით, სკოლის მისიით, სკოლის დებულებით, სკოლის შინაგანაწესითა და ამ დებულებით.
3. კლუბი დასახულ მიზნებსა და დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებს ამავე სკოლის ფარგლებში.

#### მუხლი 2. კლუბის მიზნები

კლუბის მიზანია: მოსწავლეთა დაინტერესება საბუნებისმეტყველო საგნებით, კერძოდ ქიმიით. ცოდნის გაღრმავება და ქიმიური ექსპერიმენტების ჩატარების უნარის გამომუშავება, სასწავლო გეგმის წარმატებულად განხორციელება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მათი მსოფმხედველობის გაფართოებასა და საგნის უფრო ხალისით სწავლის სურვილს.

### **მუხლი 3. კლუბის ფუნქციები**

ამ დებულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად კლუბი:

- ა) სკოლის მისიისა და სკოლის სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმის, მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების შესაბამისად შეიმუშავებს სამუშაო გეგმას;
- ბ) მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შეიმუშავებს სამუშაო გრაფიკს
- გ) მონაწილეობს კლუბის მიზნების შესაბამის, სასკოლო და სკოლისგარეშე ღონისძიებებსა და აქტივობებში.

### **მუხლი 4. კლუბის ხელმძღვანელობა**

1. კლუბს ხელმძღვანელობს კლუბის მასწავლებელი, რომელსაც დირექტორთა საბჭოსთან შეთანხმებით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სკოლის დირექტორი

### **მუხლი 5. კლუბის მასწავლებელი**

კლუბის მასწავლებელი:

- ა) სკოლის მისიისა და სკოლის სასწავლო გეგმის, მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების შესაბამისად შეიმუშავებს კლუბის სამუშაო გეგმას.
- ბ) სკოლის შინაგანაწესის, კლუბის დებულების, მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის მიხედვით პასუხისმგებელია დავალებების შესრულებისათვის იმ სფეროში, რომელიც კლუბის საქმიანობას ეხება;
- გ) უზრუნველყოფს კლუბში გაერთიანებულ მოსწავლეთათვის, დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ, კლუბის სასწავლო გეგმის შესაბამისად დაგეგმილი ხარისხიანი სამუშაო პროცესის წარმართვას
- დ) უზრუნველყოფს კლუბის მუშაობის განმავლობაში მოსწავლეთა დასწრებასა და მათ ჩართვას სამუშაო პროცესში

### **მუხლი 6. კლუბის ლიკვიდაცია**

1. გადაწყვეტილებას კლუბის გაუქმების შესახებ იღებს დირექტორთა საბჭო

### **მუხლი 7. დასკვნითი დებულებები**

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება დირექტორთა საბჭოს მიერ.

განსახორციელებელი აქტივობები:

	დასახელება	მიზანი	აქტივობა	დრო
1.	წრის სამუშაო გეგმის შემუშავება ქიმიის კაბინეტში მუშაობისა და უსაფრთხოების წესების შემუშავება	მუშაობა იყოს უფრო ხალისიანი, საინტერესო და უსაფრთხო	ლიტერატურის გაცნობა, საკუთარი აზრის გამოთქმა	პირველი სემესტრი
2.	სახალისო ცდების დაგეგმვა და ჩატარება. ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკისთვის მომზადება	დაგეგმონ და ჩაატარონ ცდები. ისწავლონ ქიმიურ რეაქტივებთან მუშაობა	„საიდუმლო ნაწერი“, „ფარაონის გველი“, მწვანე ფერის ალი, „მოხეტიალე ბუმტუკები“, „მედუზები“	პირველი სემესტრი
3.	განმანათლებელი პროექტი „ქიმია ყველგანაა“	ქიმიის პოპულარიზაცია და მისი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში	ინფორმაციის მოძიება-ინტერნეტ რესურსი და ვიდეო კოლაჟის შექმნა.	პირველი სემესტრი
4.	„ვირტუალური ლაბორატორია“	ცდების ჩატარების უნარის გამომუშავება, ვირტუალური ლაბორატორიის ათვისება	კომპიუტერი - პროგრამა ვირტუალური ლაბორატორია	პირველი, მეორე სემესტრი
5,	საღეჭი რეზინის გამოკვლევა	კვლევის უნარის განვითარება. საღეჭი რეზინის ფიზიკური ტვისებების გამოკვლევა. მისი მჟავიანობის განსაზღვრა,	სხვადასხვა საღეჭი რეზინა, წყალი, ქიმიური ჭიქები, უნივერსალური ინდიკატორი, სპირტი, ნატრიუმის ტუტე, სპილენძის სულფატის ხსნარი.	

		დამატკობლების აღმოჩენა.		
6,	სასკოლო რესურსის შექმნაში მონაწილეობა	ტესტების შეგენით ცოდნის გაღრმავება	კომპიუტერი, სპეციალური პროგრამის გამოყენება	
7.	როლური თამაში - ქიმიის გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება საწყის საფეხურზე	დაგეგმონ და ჩაატარონ გაკვეთილი	მყავების, ტუტეების, ნეიტრალური ხსნარების გარჩევა სხვადასხვა ინდიკატორების გამოყენებით. pH-ის განსაზღვრა უნივერსალური ინდიკატორის გამოყენებით.	
8.	„ქიმიური პარადოქსები“	მსოფლმხედველობის გაღრმავება	საინტერესო ფაქტების მოძიება მოსმენა	
9.	სახალისო ცდების დაგეგმვა და ჩატარება. სასკოლო სამეცნიერო პიკნიკისთვის	დაგეგმონ და ჩაატარონ ცდები. ისწავლონ ქიმიურ რეაქტივებთან მუშაობა	„საიდუმლო ნაწერი“, „ტეტრი ასპიდი“, „მუქნიშანი“, „ფერთა პალიტრა“, „ვულკანი“, „იო-იო“	მეორე სემესტრი

კლუბის წევრთა სია :

კლასი	მოსწავლის სახელი, გვარი
10	ნინო ზამბახიძე
10	გუზიტაშვილი ანა
8	ქაჯაია ნატა
8	ეკალაძე მარიამი
8	მესხი მარიამი
8	შავდათუაშვილი გიორგი
8	შევარდაშვილი მარიამი
8	შენგელია მარიამი
8	წივილაძე მარიამი
8	ბატიაშვილი თამარი

